ჩემპიონატი

“დინამო” (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი)

(მოსკოვი, ტელეგრაფით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

20 ოქტომბერს მოსკოვის “დინამოს” სტადიონზე ჩატარდა მიმდინარე წლის საკავშირო პირველობის გათამაშების ცენტრალური მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ მოსკოვისა და თბილისის “დინამოს” სანიმუშო გუნდები. ამ შეჯიბრებაში თბილისის დინამოელები გამოვიდნენ იმავე შემადგენლობით, რა შემადგენლობითაც თამაშობდნენ “სპარტაკის” წინააღმდეგ.

მატჩი დაიწყო თბილისის “დინამოს” თავდამსხმელთა იერიშებით. მე–2 წუთზე მარჯვენა გარემარბ ჯეჯელავას ეძლევა ბურთის გატანის უდაო შესაძლებლობა, მაგრამ იგი ახლო მანძილიდან ურტყამს კარის ზევით. თბილისელთა იერიშები გრძელდება. მოსკოველები, კერძოდ ჩერნიშევი და სტანკევიჩი ოსტატურად იცავენ თავიანთ კარს.

მე–10 წუთიდან მოედნის პატრონები გადადიან კონტრშეტევაზე. მათი თავდამსხმელები (სემიჩასნი, იაკუშინი, სოლოვიოვი, დემენტიევი და ილინი) სულ უფრო და უფრო უახლოვდებიან თბილისელთა კარს. მე–15 წუთზე ლამაზი კომბინაციის შემდეგ ძლიერი დარტყმით იაკუშინს გააქვს პირველი ბურთი. ანგარიშია – 1:0.

მოსკოველები არ სცილდებიან მოწინააღმდეგეთა საჯარიმო მოედანს. თბილისის ”დინამოს” დამცველები დაიბნენ. ამ მომენტით ისარგებლა პოლ??კამ (მარცხენა ნახევარდამცველი) და მოულოდნელად გაიტანა მეორე ბურთი.

თბილისელთა ცდა საპასუხო ბურთის გატანისათვის უშედეგოდ დამთავრდა. პირველი ტაიმი მოიგეს მოსკოველებმა – 2:0.

შეჯიბრების მეორე ნახევრის დასაწყისში პანიუკოვისა და პაიჭაძის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთები მოხვდა მოსკოველთა კარის ბოძს.

მე–2 ტაიმის 45 წუთიან მწვავე ბრძოლას შედეგი არ მოუცია. თბილისელთა კარი რამდენჯერმე იხსნა მეკარე ტყებუჩავამ, ხოლო მოსკოვის კარი – თვით ბოძმა.

მ. მინაევი.

„ახალგაზრდა კომუნისტი“, 22 ოქტომბერი, 1940 წ.